



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 143

2016 წლის 12 ივლისი

ქ. თბილისი

**სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის  
„საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო  
კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ**

„სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის N156/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების ადმინისტრირების, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, ნინო დემეტრაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N854003, 11.07.2016.) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**


1. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები:

ა) „Rome in the Caucasus: New Light on the Roman Impact on Iberian Society“ - პროექტის შიფრი UO\_5\_6\_2016;

ბ) „The Art and Architecture of the Kingdom of Georgia in the 10th and 11th centuries“ - - პროექტის შიფრი UO\_08\_6\_2016.


**შემსრულებელი:**

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის  
მოადგილე


-----  ----- /მარიამ იაშვილი/

**შეთანხმებულია:**

1. იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/

2. გენერალური დირექტორის მოადგილე

-----  ----- /გიორგი ჟღენტი/

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 22 ივლისისა;
3. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა არაუგვიანეს 2016 წლის 15 ივლისისა ფონდში წარმოადგინონ პირადი ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის მიერ.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

